დასახელება:

ტენდერი ფილიალის გათბობა, გაგრილება, ვინტილაცია, სანტექნიკის სამუშაოების შესყიდვაზე

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა:

12 ნოემბერი 2024 წელი

Construction Service
Construction & Engineering

შპს Construction service

სატენდერო დოკუმენტაცია

ქვაფენილის და ბორდიურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

(ქ. თბილისი, ალექსეევკას დასახელება)

2024 წელი

1. შესყიდვის ობიექტი

1 .ქ თბილისში, ალექსეევკას დასახელებაში ქვაფენილის და ბორდიურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების სახით წარმოსადგენი დოკუმენტ(ებ)ი

- შევსებული ხარჯთაღრიცხვა excel-ის ფაილის სახით;
- კომპანიის პრეზენტაცია, საქმიანობის მოკლე აღწერილობა, კლიენტების სია;
- კომპანიის სერთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია წარსულში ანალოგიური გამოცდილების შესახებ, მსხვილი შესრულებული პროექტების ჩამონათვალი მინიმუმ სამი პროექტი;
- ინფორმაცია შესრულების ვადებსა და საგარანტიო პირობებზე.
- შევსებული სატენდერო წინადადება საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით;
- რეკვიზიტები;
- საკონტაქტო პირის (პროექტის მენეჯერის) მონაცემები.

პრეტენდენტმა გამარჯვებულად გამოცხადების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები

- ცნობა საგადასახადოდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
- ცნობა რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ანდა ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და მიწოდების პირობა

3.1. სამუშაოების შესრულების ვადა: ეტაპობრივად შეთანხმებულ ვადებში;
3.2. ქ თბილისში, ალექსეევკას დასახელება;
3.3.შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება 3 წლით;
3.4. გამოყენებულ მასალებზე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს წარმოშობის სერთიფიკატები;

4. პრეტენდენტის წინადადების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

4.1 წინადადების ფასის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით;
4.2 ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;
4.3 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ფორმა N2-ის საფუძველზე.

5. ზოგადი პირობები

5.1 პრეტენდენტის მიერ მოწოდებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა);
5.2 სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე; დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

5.3 გამარჯვებულ პრეტენდენტთან ტენდერში გამარჯვების შემდეგ უნდა შეთანხმდეს ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება არის პირობა ტენდერის საფუძველზე ხელშეკრულების დადების.
5.4. ხელშეკრულების გაფორმებამდე, შემსყიდველს (შპს Construction service-ს) ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს ტენდერი, რაზეც პრეტენდენტს არ აქვს უფლება მოითხოვოს რაიმე სახის დასაბუთება ან ზიანის ანაზღაურება.

6. ინფორმაცია პრეტენდენტებისათვის
6.1 პრეტენდენტი ვალდებულია დამკვეთის წარმომადგენლებთან ერთად წინასწარ დაათვალიეროს და დეტალურად შეისწავლოს შესასრულებელი სამუშაოები, მოახდინოს პროექტის რევიზია;
6.2 შემოთავაზების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2024 წლის 18 ნოემბერი 15:00 საათი.
6.3 სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სისტემის www.tenderers.net -ზე ატვირთვის გზით.

სატენდერო კომისია განიხილავს ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

– შემოთავაზებული პროდუქციის მიწოდება/მონტაჟის/მომსახურების ფასი;
– პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
– კომპანიის გამოცდილება.

შემოთავაზებების მიღების წესი არის ელექტრონული, Tenderers.ge-ზე სატენდერო წინადადების ატვირთვის და ფასის შემოთავაზების გზით.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე:

ელ-ფოსტა: SOSOKARUMIDZE@CS.GE; მობ: 577 959 585; სოსო ქარუმიძე